



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №12

23 მარტი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღების თაობაზე  
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირისგან „HEKS-EPER შვეიცარიის ევანგელისტური ეკლესიის ურთიერთდახმარების ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ს/კ 205216611), „რეგიონალური განვითარება კახეთის რეგიონში“ პროექტის მე-2 ფაზის „მოლი კახეთში“ ფარგლებში, მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახი“-სთვის გამოყოფილი სივრცის რემონტისა და აღჭურვის მიზნით, მიიღოს გრანტი არაფულადი სახით, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 15 000 ლარს.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე